საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 30 ივნისი, 2014 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/01

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში „ემერიტუსის“ წოდების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭო გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „სსიპ-ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ემერიტუსის წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ“ დებულება, თანახმად დანართისა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2014 წლის 30 ივნისის № 05-01/01
გადაწყვეტილების
დანართი

დებულება

სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში „ემერიტუსის“ წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ

1. „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ემერიტუსი“ (შემდგომში - „ემერიტუსი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ აკადემიურ წოდებას.

2. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება პირს, რომელიც ამ წოდების მინიჭების შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის:
ა) არის 65 წლის ან მეტი ასაკის;
ბ) უკავია ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა.

3. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვ-ლისთანავე, პირადი განცხადების საფუძველზე აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

4. ემერიტუსს (ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით) უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის შესაბამისი დარგობრივი დეპარტა-მენტის აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებში, რაც გამოიხატება ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებაში, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, სამეცნიერო საგრანტო პროექტების მომზადებაში, კონსულტაციების ჩატარებაში და სხვა.

5. ემერიტუსი უფლებამოსილია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში შეასრულოს ანაზღაურებადი სამუშაო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

6. ემერიტუსი მოქმედებს უნივერსიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. მას გაცნობიერებული აქვს თავისი სტატუსი მის ნებისმიერ მოქმედებაში და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ინტერესებით.

7. 1. ფაკულტეტის საბჭო.
ემირიტუსის წოდების მინიჭების შესახებ პროფესორის განცხადებას განიხილავს დარგობრივი დეპარტამენტი, რომელიც ამზადებს დასკვნას და შუამდგომლობას შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოსათვის. ფაკულტეტის საბჭო ღებულობს დადგენილებას ემირიტუსის წოდების მინიჭებაზე შუამდგომლობის ან შუამდგომლობაზე უარის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობა განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

7. 2. აკადემიური საბჭო.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას პირისათვის ემირიტუსის წოდების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის შესახებ.

8. პირი ვისაც მიენიჭება ემირიტუსის წოდება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა იყოს არანაკლებ 65 წლისა;

ბ) დაკავებული უნდა ჰქონდეს პროფესორის აკადემიური თანამდებობა;

გ) უნდა ჰქონდეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი

დ) ხელოვნების უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში უნდა გამოირჩეოდეს სასწავლო, შემოქმედებითი, სამეცნიერო აქტივობებით;

ე) უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით სტუდენტებში და პროფესორ-მასწავლებლებში;

9. პირს, ვისაც მიენიჭება ემირიტუსის წოდება, ენიჭება ანაზღაურება პროფესორის აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი სარგოს გამოკლებული სახელმწიფოს მიერ დანიშნული პენსიის ოდენობა (რაც დასტურდება ყოველწლიურად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ცნობით პენსიის ოდენობის შესახებ), მიუხედავად პირის მიერ დაკავებული პროფესორის შტატის ოდენობისა.

10. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მაღალანაზღაურებად (პროფესორისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ტოლი ან მეტი) თანამდებო-ბაზე დასაქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ემერიტუსის დაფინანსება.

სწორია: